

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტ ე ნ დ ე რ ი ს
ჩ ა ტ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და 2008 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ღია ტენდერს **სამინისტროს ბალანსზე რიცხული 2 ერთეული ავტომანქანა „ნისან პატფაინდერის“ მიმდინარე შეკეთების მომსახურების** შესყიდვაზე;

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. გასაწვეი მომსახურების დეტალური აღწერა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. მომსახურების გაწვევის ვადაა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ **2008 წლის 6 მაისის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 1-ლი სართული, ოთახი №106-107.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, (იურიდიული პირის შემთხვევაში);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტსა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლება **2008 წლის 14 აპრილიდან 5 მაისის 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა), მარშალ გელოვანის გამზ. №6, 1-ლი სართული, ოთახი №106-107.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ს/კ 203843010.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 1-ლი სართული, ოთახი №106-107. ტელ. 378012.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია